

 საქაერონავიგაცია	ხარისხის პოლიტიკა	ORG-QP
		ვერსია: 1.0
		ამოქ. თარიღი: 03 დეკ 18

ეს ხარისხის პოლიტიკა ეფუძნება „საქაერონავიგაციის“ ხელმძღვანელობის სურვილს, შეასრულოს ძირითადი დაინტერესებული მხარეების შესაბამისი მოთხოვნები, ისევე როგორც შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო მოთხოვნები, მაღალი ხარისხის საჰაერო ნავიგაციის მომსახურების უზრუნველყოფით, მათ შორის:

1. საჰაერო მოძრაობის მომსახურებები;
2. საავიაციო ძეგნისა და შველის საკოორდინაციო მომსახურება;
3. სააერონავიგაციო კომუნიკაციის, ნავიგაციის და ლოკაციის მომსახურებები;
4. სააერონავიგაციო მიწისზედა განათება;
5. სააერონავიგაციო მეტეოროლოგიური მომსახურებები;
6. სააერონავიგაციო ინფორმაციის მომსახურებები;
7. კომპანიის პერსონალის სწავლება.

ხარისხი საჰაერო ნავიგაციის მომსახურების/პროდუქტების შესაფერისობის, საიმედოობის და გამოსაყენებელ (მომხმარებლის, ეროვნულ და საერთაშორისო) მოთხოვნებთან შესაბამისობის დონეა.

ჩვენი ძირითადი ფასეულობებით (ფრენების უსაფრთხოება, მაღალი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა) გამყარებული, ISO 9001 სტანდარტზე დაფუძნებული ხარისხის მართვის სისტემა, პროდუქტების/მომსახურების გაუმჯობესების და არასასურველი შედეგების შემცირების საშუალებას იძლევა.

ვინაიდან ფრენის უსაფრთხოებასთან მიმართებაში კომპრომისი არ არსებობს, ჩვენ მუდმივად ვაუმჯობესებთ მიწოდებული პროდუქტებისა და გაწეული მომსახურების ხარისხს, თანამიმდევრულობას და სარგებლობას, დაინტერესებული მხარეების გამოვლენილი მოთხოვნებისა და ძირითადი მოლოდინების შესაბამისად, ქვემოთ მოცემულის განხორციელებით:

1. ფუნქციონირების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების სისტემატური მიმოხილვა;
2. ხარისხის სისტემის პროცესებისა და მოცემული პოლიტიკის მუდმივი მართებულობის და ადეკვატურობის სისტემატური მიმოხილვა,
3. ხარისხის მიზნების დასახვა;
4. საჭირო სწავლებების უზრუნველყოფა და კომპეტენციის მონიტორინგი; და
5. ინფრასტრუქტურის განვითარება.

ხელმძღვანელობას სურს დანერგოს და მუდმივად გააუმჯობესოს მოცემული ხარისხის პოლიტიკა და ხარისხის მართვის სისტემა, შემდეგნაირად:

1. ორგანიზაციაში ხარისხის პოლიტიკის განცობით, და მათ შორის მომხმარებლის, მარეგულირებელი და საკანონდებლო მოთხოვნების შესრულების მნიშვნელობაზე ინფორმირებით;
2. პოლიტიკიდან გამომდინარე მიზნების, სტრატეგიებისა და ამოცანების დასახვით;
3. თანამდებობის აღწერილობა, რომელიც განსაზღვრავს როლებს, პასუხისმგებლობებს და უფლებამოსილებებს ყოველი თანამშრომლისთვის;
4. რესურსების ადეკვატურობის უზრუნველყოფით;
5. ხარისხის მართვის პერსონალის მხარდაჭერით; და
6. ქვემოთ მოცემული ხარისხის მართვის შვიდი პრინციპის პრაქტიკული გამოყენებით:
 - i. მომხმარებელზე ორიენტაცია;
 - ii. ლიდერობა;
 - iii. თანამშრომლების ჩართულობა;
 - iv. პროცესებისადმი მიდგომა;
 - v. გაუმჯობესება;
 - vi. მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღება;
 - vii. ურთიერთობების მართვა.

ყოველი თანამშრომლის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების პროფესიონალური, ფრენების უსაფრთხოებაზე ორიენტირებული და კოორდინირებული შესრულება საქართველოს საჰაერო სივრცეში უსაფრთხო, მოწესრიგებული და სწრაფი საჰაერო მოძრაობის დინების უზრუნველყოფის ფუნდამენტური მოთხოვნაა, რაც „საქაერონავიგაციის“ უმთავრეს ხარისხის მიზანს წარმოადგენს.

დამტკიცებულია გენერალური დირექტორის მიერ:

გოჩა მეზვრიშვილი

ხელმოწერა:



თარიღი: 9 ივლისი 2018